



აქსიათა სავალდებულო მიუიღვის შესახებ წარმოების აღკვეთის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

რობიზონ ხურცილავა

*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ზონის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე*

საქართველოში ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, ახლებურად ჩამოყალიბდა სამოქალაქო წარმოების სახეები, კერძოდ, სასარჩელო და უდავო წარმოების გვერდით ადგილი დაიკვიდრა წარმოების ისეთმა სახემ, როგორიცაა გამარტივებული წარმოება.

გამარტივებული წარმოება, სასარჩელო წარმოების მსგავსად, მიზნად ისახავს დარღვეული უფლების აღდგენას, მაგრამ გამარტივებული წარმოების დროს საქმე განიხილება ოპერატიულად, მჭიდრო ვადებში. განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია თუ რა კატეგორიის საქმეები უნდა იქნეს განხილული გამარტივებული წარმოების და არა გამარტივებული წესით და მოსამართლის შეხედულებაზე არ არის დამოკიდებული. მოსამართლეს წარმოების სახის არჩევის დროს გააჩნია არა უფლებამოსილება, არამედ ვალდებულება, რომელიც მხარის მოთხოვნის საფუძველზე საპროცესო კოდექსიდან გამომდინარეობს.

გამარტივებული წარმოება გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეხუთე კარით, რომლის თანახმადაც, გამარტივებული წარმოებით განიხილება შემდეგი საქმეები:

1. თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელები.
2. დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმეები.
3. ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის დაბრუნების თაობაზე აღძრული საქმეები.
4. აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმეები.

„აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმის განხილვის წესი“ გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 34²-ე თავით, რომლის თანახმადაც, შეიძლება განხილული იქნეს სააქციო საზოგადოების¹ აქციონერის განცხადება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ, რომელსაც აქციათა შეძენის შედეგად საკუთრებაში აქვს სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 95%-ისა (შემდგომში – მიყიდველი).

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53⁴-ე მუხლი ითვალისწინებს აქციათა სავალდებულო მიყიდვას, რომლის თანახმადაც, თუ აქციების შეძენის შედეგად, აქციონერს საკუთრებაში აქვს სააქციო საზოგადოების ხმების 95%-ზე მეტი, მაშინ ამ აქციონერს (ამ მუხლის მიზნებისათვის – მიყიდველი) უფლება აქვს, სამართლიან ფასად გამოსყიდოს სხვა აქციონერთა აქციები.

მიყიდველი სასამართლოსადმი მიმართვამდე არა უგვიანეს ერთი თვისა, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ბეჭდვით ორგანოში აქვეყნებს თავის განცხადებას აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე. განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გამოსყიდვის მიზეზების, პირობებისა და პროცედურების შესახებ. 54-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განცხადების გამოქვეყნება ხდება საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309⁹-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ სასამართლოს წარედგინება არა სარჩელი, არამედ განცხადება, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:

1. სასამართლოს დასახელება.
2. მიყიდველის და მისი წარმომადგენლის დასახელებები.
3. განმცხადებლის მოთხოვნა.
4. მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება განცხადების შეტანამდე ერთი თვით ადრე მაინც.
5. რეესტრის მწარმოებელი პირის მისამართი.
6. თარიღი (სამუშაო დღის ბოლოს შესაბამისი დრო), რომლის მდგომარეობით არსებულ აქციათა ბენეფიციარ მესაკუთრეთაგან უნდა მოხდეს მიყიდველის მიერ აქციათა გამოსყიდვა (გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღი).

აქციას საკმაოდ სპეციფიკური სამართლებრივი ბუნება აქვს, ერთი მხრივ, იგი მოიცავს სააქციო საზოგადოების წევრებისა და მის მართვაში მონაწილეობის კომპონენტს. ამ მიმართებით აქციონერს, სააქციო საზოგადოებაში მისი მონაწილეობის შესაბამისად, აქვს ხმის უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება, კონტროლის უფლება, საერთო კრების გადაწყვეტილების

გასაჩივრებისა და „მენარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებები. მეორე მხრივ, აქცია არის სააქციო საზოგადოების ქონებაში მესაკუთრის წილობრივი საკუთრების გამომხატველი და წილზე უფლების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“³ კანონის განმარტებით, ის არის „წილობრივი ფასიანი ქაღალდი“. აქციის განკარგვის შემთხვევაში, ასევე, საზოგადოების ლიკვიდაციისას, საკუთრება აქციაზე მატერიალიზებადია, რადგანაც ის აძლევს აქციონერს უფლებას მიიღოს ლიკვიდირებული სააქციო საზოგადოების ქონება თავისი წილის შესაბამისად. გარდა ამისა, აქცია აძლევს მის მესაკუთრეს საწარმოს მოგებიდან წილის მიღების უფლებას. ამდენად, აქცია არ არის სავარაუდოდ მისაღები, ვირტუალური შემოსავალი, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე დივიდენდებს შეეხება. ის აქციონერის სამართლებრივად განმტკიცებული ქონებრივი უფლებებისა და პოზიციის დამადასტურებელი საბუთია, რომელიც კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულ სიკეთეს წარმოადგენს.⁴

აქცია არის ფასიანი ქაღალდი,⁵ უფლება, რომელსაც იგი შეიცავს. საერთო ფასიანი ქაღალდი, შეიძლება სხვა პირს მიენიჭოს მხოლოდ ამ უკანასკნელის გადაცემის მეშვეობით.⁶

განცხადებას უნდა ერთვოდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა აქციათა სავალდებულო მიყიდვის საქმეებზე შეადგენს 500 ლარს.⁷

სახელმწიფო ბაჟის გადახდის მომწესრიგებელი სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმების არსებობა ასახავს ურთიერთკავშირს საფინანსო სამართალთან.⁸

სხვა სახის მოთხოვნები, რომლებიც არ გამომდინარეობენ 309⁹-ე მუხლის მეორე ნაწილიდან, გამარტივებული წარმოების წესით არ განიხილება.

უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით, აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ამონებს წილის შეტანას სააქციო საზოგადოების კაპიტალში; მის მფლობელს აძლევს უფლებას მიიღოს მოგების ნაწილი დივიდენდის ფორმით, მიიღოს მონაწილეობა საქმეთა მართვაში და ა.შ.⁹ ხოლო, რაც შეეხება ფასიან ქაღალდს, მისი განმარტება მოცემულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 32-ე ნაწილით, რომლის თანახმადაც, „ფასიანი ქაღალდი (ქაღალდები) არის მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტები და უფლებები, რომელთა საჯარო შეთავაზებაც შესაძლებელია წილობრივი თუ სასესხო ფასიანი ქაღალდების სახით (ან მათი კომბინირებული ვარიანტით), ან რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას ასეთებად ან რომლებიც არიან ასეთებზე ხელმოწერისა თუ ასეთების შეძენის უფლების მატარებლები, საინვესტიციო ხელშეკრულებები და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული სხვა ინსტრუმენტები და უფლებები“.

განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებაში დიდი როლი აქვთ განკუთვნილი ე.წ. ფასიან ქაღალდებს. ფასიანი ქაღალდი, მართებულად მიუთითებს მ.ი. კულაგანი, რომ ესაა დოკუმენტი, რომლის წარდგენაც აუცილებელია მასში გამოხატული ქონებრივი უფლებების განსახორციელებლად.¹⁰

ა. კობახიძის განმარტებით, ფასიანი ქაღალდი არის დადგენილი ფორმისა და სავალდებულო რეკვიზიტების დაცვით შედგენილი ფულადი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ქონებრივ უფლებას და რომლის განხორციელება თუ სხვისთვის გადაცემა შეიძლება მხოლოდ მისი წარდგენით. ანუ ეს დოკუმენტი ადასტურებს მისი მფლობელის უფლებას გარკვეულ მატერიალურ თუ არამატერიალურ სიკეთეზე (ფულზე, ნივთზე, მესამე პირთა მოქმედებაზე, სხვა ფასიან ქაღალდზე). ამასთან, ამ უფლების განხორციელება შეიძლება მხოლოდ ამ ფასიანი ქაღალდის წარდგენით.¹¹

რ. შენგელიას განმარტებით, ფასიან ქაღალდებს განსაზღვრული წესით შედგენილ წერილობით ვალდებულებებსაც უწოდებენ. ასეთი ქაღალდების წარმოშობა და განვითარება განპირო-

მხრივ, ატველი ბაზრის ვარგის ებადია, დოების წარმოს ეალური ონერის რეპელი ღალდი, ქითარი. ლარს.⁷ ას ნორ- ლიდან, ჰონმებს მთილოს ხოლო, ას შესა- ღალდი ააჯარო ან მათი ც არიან ო ხელ- ხები“. ავნილი ომ ესაა ებების

მეზულია ქონებრივი ბრუნვის მოთხოვნებით. რაც უფრო განვითარებულია ასეთი ბრუნვა, მით უფრო იგრძნობა ყოველგვარი მოძრაი და უძრავი ქონების მარტივი და თავისუფალი გადაცემის მოთხოვნილება. ფასიან ქალაქში შერწყმულია ორი სხვადასხვა ხასიათის ელემენტი – ვალდე- მუღებითი და სანიეთო. ერთი მხრივ, მასში ნათლად ჩანს შეპირება – ვალდებულების აღება, რომ შესრულდეს გარკვეული მოქმედება – გადაეცეს ფული ან ქონება და სხვ. მეორე მხრივ, ფასიანი ქალაქის მფლობელობა დაკავშირებულია განსაზღვრული ნივთის მოთხოვნასთან და სხვისთვის ქალაქის გადაცემა ნიშნავს მოთხოვნის უფლების დათმობას.¹²

გ. ნადარეიშვილის განმარტებით, ფასიან ქალაქებს აქვთ ბრუნვის უნარი. ისინი სავაჭრო გარიგებების საგნად ითვლებოდნენ და მათ, ფასიან ქალაქებს უპირისპირებდნენ მხოლოდ ფინანსად გაგებულ საქონელს. ფასიან ქალაქს, რა თქმა უნდა, უშუალოდ არ შეუძლია ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. გასაგებია, რომ ფასიანი ქალაქი ფასეულია არა თავისთა- ვად, არამედ გამოხატავს პირის უფლებას რაღაც ისეთზე, რომელსაც აქვს მატერიალური ღირე- მუღება. ამ უფლებას რომ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე თავისთავად განხორციელება შეძლებოდა, მაშინ ფასიანი ქალაქების საჭიროების იდეა არც წარმოიშობოდა.¹³

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის განსაზღვრავს აქციათა სახეებს (კლასებს), ასევე, აქციებში კონვერტირებად სხვა ფასიან ქალაქებს. აღნიშნული მუხლის თა- ნახმად, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, აქციები შეიძლება იყოს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული. ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერ- თა საერთო კრებაზე, ხოლო პრივილეგირებული აქცია არ იძლევა ხმის უფლებას. პრივილეგი- რებული აქცია უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით. დივიდენდის ოდენობა და მიღების წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით. წესდებით შეიძლება დადგინდეს განსხვავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების უფლებათა სხვაგვარად განსაზღვრას. ერთი კლასის აქციები თანაბარი უფლებებით უზრუნველ- ყოფენ მათ მფლობელებს. დივიდენდების უცილობლად გაცემის შეპირება ბათილია. გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული აქციათა კლასებისა, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტი- ლებით, საზოგადოებამ შესაძლოა გაითვალისწინოს სხვა კლასის აქციების არსებობაც. ნებისმი- ერი კლასის აქციების რაოდენობა, მათთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები და მათი შეცვლის პირობები უნდა აისახოს საზოგადოების წესდებაში (ხოლო საჯარო შეთავაზების შემ- თხვევაში – ემისიის პროსპექტშიც), ამ კლასის აქციების განთავსებამდე. აქციების განთავსების შემდეგ განთავსებულ აქციებთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების შეცვლა, ასევე წეს- დებით გათვალისწინებული ამ კლასის აქციების ცვლილებების წესის შეცვლა დაუშვებელია. სააქციო საზოგადოებას შეუძლია კანონით დადგენილი წესით გამოუშვას აქციებში კონვერტი- რებადი სხვა ფასიანი ქალაქები.

დისპოზიციურობის პრინციპი მთლიანად ვრცელდება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შე- სახებ განსახილველ საქმეებზე. „დისპოზიციურობა“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „განკარ- გვას“. აქედან მომდინარებს იურიდიული ტერმინი „დისპოზიციურობა“, რომელიც შესაბამისად, ნიშნავს სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა იურიდიულ თავისუფლებას გამოიყენონ თავიანთი უფლებები.¹⁴

დისპოზიციურობის პრინციპის არსია, რომ მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები, სწორედ მოსარჩელის ნებაზე დამოკიდე- ბული სამოქალაქო საქმის აღძვრა, დავის საგნის განსაზღვრა, გადაწყვეტილების გასაჩივრება, გადაწყვეტილების აღსრულება.¹⁵

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ასევე, დისპოზიციურობის პრინციპი დამახასიათებელია ადმინისტრაციული პროცესისათვის. თუმცა, სამოქალაქოსაგან განსხვავებით საქმეში მონაწილე ადმინისტრაციულ ორგანოს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, მორიგდეს ან ცნოს სარჩელი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს.

დისპოზიციურობის ნიშნები ასევე, შეიმჩნევა 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, თუმცა, ცალკე მუხლი დისპოზიციურობის პრინციპის სახელწოდებით ჩამოყალიბებული არ ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს გარანტირებული ჰქონდათ სარჩელზე უარის, სარჩელის ცნობის ან მორიგების უფლება, 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლი ზღუდავდა მხარეებს სასამართლოს მეშვეობით აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებაში, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს, არღვევდა სხვის უფლებებს და კანონით დაცულ ინტერესებს.

დისპოზიციურობა სამოქალაქო პროცესში განისაზღვრება დისპოზიციურობის პრინციპის არსებობით იმ მატერიალურ ურთიერთობებში, რომლებიც სასამართლო განხილვისა და გადაწყვეტის ობიექტს წარმოადგენენ. ყოველ პირს ეძლევა უფლება განახორციელოს ან არ განახორციელოს საკუთარი უფლებები, უარი განაცხადოს მათზე, მოითხოვოს მათი შესრულება შესაბამისი პირებისაგან, ან შეეგუოს თავისი უფლებების დარღვევას. კრედიტორს უფლება აქვს ვალი აპატიოს მოვალეს, ან არ აპატიოს და მოითხოვოს მისი ანაზღაურება. დისპოზიციურობის პრინციპის შინაარსი მოიცავს იმ უფლებამოსილებებს, რომლებიც დაკავშირებულია მხარეების მიერ მატერიალური უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის საპროცესო საშუალებების განკარგვასთან.¹⁶ სწორედ დისპოზიციურობის პრინციპებზეა აგებული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა.¹⁷ დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, განმცხადებელს შეუძლია მიმართოს განცხადებით სასამართლოს და მოითხოვოს აქციათა სავალდებულო მიყიდვა ან არ მოითხოვოს, ხოლო მოპასუხეს შეუძლია დაეთანხმოს განცხადებას, ან არ დაეთანხმოს.

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ მოთხოვნისათვის აუცილებელია განმცხადებლის მიერ საპროცესო მოქმედების განხორციელება, კერძოდ, განცხადების შეტანა.

განცხადებას ხელს აწერს განმცხადებელი, თუმცა, განმცხადებელს შეუძლია უფლება წარმომადგენლის მეშვეობით განახორციელოს. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეებს თვითონაც პირადად, მიიღონ მონაწილეობა საქმეში.

წარმომადგენელს წარმოების აღძვრის უფლებამოსილება ეძლევა იმ შემთხვევაში, თუ მისი უფლებამოსილებები ჩამოყალიბებულია კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში. წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმების წესი გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლით, მაგრამ მხოლოდ წარმომადგენლისათვის უფლებამოსილების გაფორმება არ არის საკმარისი წარმომადგენელს მიეცეს შესაძლებლობა აღძვრას წარმოება ფულადი დავალიანების მოთხოვნით. აღნიშნულისათვის აუცილებელია მის უფლებამოსილებაში სპეციალურად იყოს მითითებული და მინიჭებული განცხადების აღძვრის უფლება (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლი). ამდენად, თუ განცხადება წარდგენილია წარმომადგენლის მეშვეობით, მას ხელს აწერს წარმომადგენელი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების წარდგენისათვის აუცილებელია, რომ განმცხადებელს აქციათა შეძენის შედეგად საკუთრებაში ჰქონდეს სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა

ბ

არანაკლებ 95%, წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ დაუშვებელია.

განსჯადობის საკითხის განხილვა. აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების საკითხის განხილვისას სასამართლომ ასევე, უნდა გადაწყვიტოს განსჯადობის საკითხი და განსაზღვროს არის თუ არა საქმე კონკრეტული სასამართლოს განსჯადი. განსჯადობა პროცესის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია, რომელიც აწესრიგებს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმეების კონკრეტული სასამართლოსადმი მიკუთვნების საკითხს¹⁸. მხარეთა შორის წარმოშობილი სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობები განსჯადობის თვალსაზრისით, გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, მათ შორის არის აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმეებიც.

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმეებს განსჯადობის თვალსაზრისით, გამარტივებული წარმოების სხვა სახეებისაგან განსხვავებით განსაკუთრებული თავისებურებები ახასიათებს. თუ დავალინების გადახდევინების, ასევე, თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული საქმეები განიხილება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აქციათა სავალდებულო მიყიდვის საქმეებზე არ ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 13-18 მუხლებით დადგენილი მოთხოვნები.

მყიდველის განცხადებას აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309¹⁹-ე მუხლის თანახმად, განიხილავენ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები, მყიდველის იურიდიული მისამართის შესაბამისად. თბილისის საქალაქო სასამართლო მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია – დასავლეთ საქართველოს. ამდენად, სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოები არ არის უფლებამოსილი განიხილოს განცხადება „აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ“. მიუხედავად აღნიშნულისა, თუ განმცხადებელი მაინც მიმართავს არაუფლებამოსილ სასამართლოს განცხადებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სასამართლო უარს ეტყვის განმცხადებელს განჩინებით განცხადების წარმოებაში მიღებაზე, ამასთან, ვალდებულია განჩინებაში მიუთითოს, თუ რომელ სასამართლოს უნდა მიმართოს განმცხადებელმა.

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების საკითხის განხილვა. აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმეებზე განმცხადებელს შეუძლია განცხადებით მიმართოს სასამართლოს და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. განცხადება არის უმთავრესი დოკუმენტი, რომლის სრულყოფილად და კანონის დაცვით შედგენაზე არის დამოკიდებული განცხადების წარმოებაში მიღება და საქმის განხილვა. განცხადება სასამართლოს წარედგინება წერილობითი ფორმით. განცხადება შეიძლება წარდგენილი იქნეს როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით.

მოსამართლე აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების საკითხს იხილავს განცხადების შეტანიდან 3 დღის ვადაში. აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე განცხადების წარმოებაში მიღება სასამართლოს მიერ ხდება სპეციალური განჩინებით „აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ“. თუმცა, აღნიშნული განჩინების მიღებამდე სასამართლომ უნდა გაარკვიოს, ხომ არ არსებობს განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველები. განცხადების წარმოებაში მიღებისათვის აუცილებელია წარმოდგენილი განცხადება აკმაყოფილებდეს საქართველოს სსკ-ის 309²⁰-ე მუხლის მოთხოვნებს. თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ განცხადება არ აკმაყოფილებს საქარ-

თველოს სსკ-ის 309⁷-ე მუხლის მოთხოვნებს, იგი გამოიტანს განჩინებას არსებული ხარვეზის შესახებ და განმცხადებელს მის შესავსებად მისცემს განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადას. თუ განმცხადებელი ამ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, მოსამართლე განჩინებით მიიღებს განცხადებას წარმოებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოაქვს განჩინება განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე და განცხადებას თანდართულ მასალებთან ერთად უბრუნებს განმცხადებელს. სასამართლოს განჩინებაზე აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განჩინების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

აქვე აღსანიშნავია, რომ განცხადების წარმოებაში მიღების დამაბრკოლებელი გარემოებების აღმოფხვრის შემთხვევაში, განმცხადებელს შეუძლია განმეორებით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს აქციათა სავალდებულო მიყიდვა.

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309¹¹-ე მუხლით, თუმცა, აღნიშნული ამომწურავი არ არის. მიგვაჩნია, რომ აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღება ასევე, შეუძლებელია თუ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე პირველი ნაწილით აღნიშნული გარემოებები.

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების ერთ-ერთი დამაბრკოლებელი გარემოებაა სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა. აღნიშნული გამარტივებული წარმოებისას, მოცემული ხარვეზი პირდაპირ არ არის გათვალისწინებული და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის ანალოგიით უნდა გადანყდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309⁸-ე მუხლით შეიძლება განხილული იქნეს სააქციო საზოგადოების აქციონერის განცხადება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ. აღნიშნული მუხლი ყურადღებას ამახვილებს აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ მოთხოვნაზე, ხოლო სხვა სახის მოთხოვნა გამარტივებული წარმოების დროს დაუშვებელია.

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების დამაბრკოლებელ გარემოებაა განცხადების წარდგენა არაგანსჯად სასამართლოში. როგორც ზემოთ აღინიშნა, აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადებას განიხილავენ ქუთაისისა და თბილისის საქალაქო სასამართლოები, ამდენად სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლო არ არის უფლებამოსილი განიხილოს აღნიშნული განცხადება. ამდენად, არაგანსჯად სასამართლოში განცხადების წარდგენისას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ პუნქტის თანახმად, უარი უნდა ეთქვას განმცხადებელს განცხადების წარმოებაში მიღებაზე.

განცხადებაში მხოლოდ მოთხოვნის ფაქტობრივ გარემოებაზე მითითება საკმარისი არ არის, მოთხოვნა თითოეული პუნქტით დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებებით, რომლის წარუდგენლობის შემთხვევაში, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას წარმოებაში მიიღოს განცხადება.

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების განჩინებაში უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- განჩინების მიღების დრო და ადგილი;
- განჩინების მიმღები სასამართლოს დასახელება;
- მხარეები და მოთხოვნის არსი;
- საკითხი, რომელზედაც მიღებული უნდა იქნეს განჩინება;
- მოტივები, რომლებითაც სასამართლო მივიდა თავის დასკვნამდე;
- სასამართლოს დადგენილება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნინო ლაზივაშვილი, სააქციო საზოგადოებები. პრაქტიკა, პრობლემები, პერსპექტივები. თბილისი, 2001.
2. როლფ კნიპერი, უმცირესობაში მყოფი პარტნიორის უფლების დაცვა საქართველოს სამეწარმეო სამართლის მიხედვით. საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში. გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბილისი, 2000 წლის 7-8 მარტი.
3. საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების შესახებ“.
4. თინათინ მძინარიშვილი, ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და საფონდო ბირჟის საკანონმდებლო რეგულირება სააქციო საზოგადოებასთან მიმართებაში. საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში. გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბილისი, 2000 წლის 7-8 მარტი.
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება №2/1-370, 390, 402, 405.
6. ე. ზარნაძე, ფასიანი ქაღალდების ცნება და მათი კლასიფიკაცია, პროფესორ ზურაბ ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2004.
7. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“.
8. სოლომონ (ბიჭი) თეზელიშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2007.
9. გ. ნადარეიშვილი, განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო და სავაჭრო სამართალი, ნაკვეთი პირველი, „განვითარებული ქვეყნების საწინფო სამართალი“, გამომცემლობა „სამთავისი“, თბილისი, 1996.
10. ავთანდილ კობახიძე, სამოქალაქო სამართალი, I ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2001.
11. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მეოთხე, ტომი მეორე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001.
12. გიორგი ნადარეიშვილი, საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის მოკლე მიმოხილვა, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2007.
13. ნინო ხოფერია, დისპოზიციურობა საქართველოს ახალი სამოქალაქო მატერიალური და საპროცესო სამართლის მიხედვით, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 1998.
14. შალვა ქუჩუაძე, სამოქალაქო საქმეთა განხილვა სასამართლოში, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2006.
15. ავთანდილ კობახიძე, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ზოგადი საკითხები, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2001.
16. ავთანდილ კობახიძე, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2003.
17. Bydlinski, Grundzüge des Privatrechts. p. 248.
18. Гражданский процесс. Учебник. Автор. гл. Решетникова И. В., М., 2000.

შენიშვნები:

- ¹ სააქციო საზოგადოებებს არსებობის საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვთ. ისტორია მოწმობს, რომ ჯერ კიდევ, ძველ რომში არსებობდა სააქციო საზოგადოებების ჩანასახები ვაჭართა გილდიებისა და ვაჭართა ასოციაციების სახით. ისტორიკოსები გვამცნობენ, რომ ძველ რომში არ მოიძებნებოდა მდიდარი მოქალაქე, რომელიც სავაჭრო ასოციაციებში არ ყოფილიყო გაერთიანებული და არ ჰქონოდა იქ კაპიტალი დაბანდებული (იხ.: ნინო ლაზვიაშვილი, სააქციო საზოგადოებები – პრაქტიკა, პრობლემები, პერსპექტივები, თბილისი, 2001, გვ. 18.).
- ² „მენარმეთა შესახებ“ კანონი ღირშესანიშნავია მრავალი თვალსაზრისით. უპირველესად, იგი სხვადასხვა სამენარმეო საზოგადოებების ერთიანი კოდიფიკაციის იშვიათი მაგალითია. მასში ვხვდებით ინდივიდუალურ მენარმეს, ამხანაგობის ტიპისა თუ კაპიტალურ საზოგადოებებსა და კოოპერატივს, რამაც ზოგად ნაწილთან კავშირით ძალზე ლაკონური და ამომწურავი სახე მიიღო (იხ.: როლფ კნიპერი, უმცირესობაში მყოფი პარტნიორის უფლების დაცვა საქართველოს სამენარმეო სამართლის მიხედვით, საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბილისი, 2000 წლის 7-8 მარტი, გვ. 96).
- ³ „ფასიანი ქაღალდების შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებულ იქნა 1998 წლის 24 დეკემბერს. ამ კანონის მიზანია საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინვესტორთა ინტერესების დაცვა, ემიტენტთა მიერ ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისას მათი ინფორმაციის, აგრეთვე, ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობის ღიაობის უზრუნველყოფა, ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობაში სამართლიანი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრება. აღნიშნული კანონის ძალაში შესვლამდე, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი ორგანო იყო ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების ინსპექცია. კანონის ძალაში შესვლის შემდეგ საქართველოში დაიწყო ბაზრის სტრუქტურის ჩამოყალიბება, განისაზღვრა ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილე და ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილე. ბაზრის მონაწილეები არიან: ინვესტორი, ემიტენტი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილე, აუდიტი, ხოლო რეგულირებადი მონაწილეები არიან: საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტორი, სხვა თვითრეგულირებადი ორგანიზაციები, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი. კანონის მიხედვით, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელ ორგანოს წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, რომელიც შეიქმნა ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების ინსპექციის ბაზაზე და მისი უფლებამონაცვლეა. აქედან გამომდინარე, კომისიის მიერ ხდება ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების ლიცენზირება (იხ.: თინათინ მძინარიშვილი, ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და საფონდო ბირჟის საკანონმდებლო რეგულირება სააქციო საზოგადოებასთან მიმართებაში, საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი, თბილისი, 2000 წლის 7-8 მარტი, გვ. 161-162.).
- ⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება №2/1-370, 390, 402, 405.
- ⁵ Bydliniski, Grundzuge des Privatrechts, p. 248.
- ⁶ ე. ზარნაძე, ფასიანი ქაღალდების ცნება და მათი კლასიფიკაცია, პროფესორ ზურაბ ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2004, გვ. 95.
- ⁷ „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის „პ“ პუნქტი.
- ⁸ Решетников И. В., Гражданский процесс, Учебник, М., 2000, с. 13.
- ⁹ სოლომონ /ბიჭი/ თეზელიშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2007, გვ. 125.
- ¹⁰ გ. ნადარეიშვილი, განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო და სავაჭრო სამართალი, ნაკვეთი პირველი, „განვითარებული ქვეყნების სანივთო სამართალი“, გამომცემლობა „სამთავისი“, თბილისი, 1996, გვ. 39.

✓

Initiation of Proceedings On Obligatory Sale of Shares Under the Code of Civil Procedure of Georgia

ROBINZON KHURTSILAVA

Grigol Robakidze University Ph.D. Candidate

Judicial Assistant Khoni Regional Court

The article describes initiation of proceedings on the obligatory sale of shares. I consider drawing attention to these issues worthwhile as correct evaluation of these issues by the court is of utmost practical importance for the development of universal approaches. Furthermore, opinions expressed in the article will support speedy and efficient administration of justice.

